შენიშვნების ფურცელი

საქართველოს კანონის პროექტზე „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (N07-3/433; 03.04.2024) – III მოსმენა

N	ავტორი	შენიშვნა	შენიშვნის გათვალისწინების მდგომარეობა
1	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადების („სააგენტო ვალდებულია, მისთვის განაცხადის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს განაცხადი, რისთვისაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემი“) ჩანაწერი დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგნაირად: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი ვალდებულია განაცხადის სააგენტოსთვის წარდგენიდან 30 სამუშაო დღეში გამოიკვლიოს და შეისწავლოს ეს განაცხადი. ამ მიზნით ამ პირს უფლება აქვს, კანონის შესაბამისად მოიძიოს საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მონაცემი, სხვა პერსონალური მონაცემი და საიდუმლოების (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) შემცველი ინფორმაცია. ყველა ის პირი, ორგანო, ორგანიზაცია, დაწესებულება, რომელსაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი მოსთხოვს ამ ინფორმაციის წარდგენას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წარუდგინოს მას თავის ხელთ არსებული აღნიშნული ინფორმაცია.“ ანალოგიური შინაარსის ცვლილებები განხორციელდეს კანონპროექტის მე-6 მუხლის პირველ პუნქტში, მე-7 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში არსებულ მსგავს ჩანაწერებთან მიმართებითაც.	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
2	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი“ დაზუსტდეს და შეიცვალოს სიტყვებით „სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი“. ანალოგიური ცვლილებები განხორციელდეს კანონპროექტის სხვა მსგავსი შინაარსის ჩანაწერებთან მიმართებითაც.	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის

			პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
3	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-9 მუხლის სათაური („პასუხისმგებლობა“) დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგნაირად: „პასუხისმგებლობა და სამართალწარმოების საკითხები“.	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
4	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი („ამ მუხლის მე-2 პუნქტით ან ამ პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის/სუბიექტის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის შემდეგ ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით“) დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგნაირად: „ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ქმედების გაგრძელება იმავე ქმედების ჩადენისთვის ბოლოს დადებული ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 თვის განმავლობაში – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.“	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
5	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირისთვის მის მიერ ამ კანონის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის წარუდგენლობა – გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.“	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II

			მოსმენით განხილვის ფარგლებში
6	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის პირველი წინადადება („ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამისი უფლებამოსილი პირი“) დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგნაირად: „ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმს ადგენს და სამართალდამრღვევს შესაბამის ადმინისტრაციულ სახდელს ადებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ უფლებამოსილი პირი.“	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
7	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-9 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „ამ კანონის საფუძველზე ან/და ამ კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრება მის მოქმედებას არ აჩერებს.“	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში
8	კანონპროექტზე მომხსენებელი	კანონპროექტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის სიტყვები „ამ მუხლის“ დაზუსტდეს და შეიცვალოს სიტყვებით „ამ პუნქტის“.	გათვალისწინებულია შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე კანონპროექტის II მოსმენით განხილვის ფარგლებში